

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნატალია კერესელიძე

მუდმივი დენის ელმავლის გაშვების იმიტაციური მოდელის
დამუშავება

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“,
შიფრი 0405

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

4 ივლისი, 2015 წელი

საავტორო უფლება © 2015 წელი, ნატალია კერესელიძე

თბილისი
2015 წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ნატალია კერესელიძის მიერ შესრულებულ სადოქტორო ნაშრომს დასახელებით: „მუდმივი დენის ელმავლის გამვების იმიტაციური მოდელის დამუშავება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საგამოცდო სადისერტაციო საბჭოზე მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი

ხელმძღვანელი:

პროფ. კონსტანტინე წერეთელი

რეცენზენტი:

აკად. დოქტ. ჯემალ ბეჟანიშვილი

რეცენზენტი:

აკად. დოქტ. არჩილ ზერეკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2015

ავტორი: ნატალია კერესელიძე

დასახელება: „მუდმივი დენის ელმავლის გაშვების იმიტაციური მოდელის დამუშავება“

ფაკულტეტი: ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: 2015 წლის 4 ივლისი

ინდივიდუალური პროცნებების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინდივიდუალურ ელექტროპნევმატურ რეოსტატულ კონტაქტორებიანი მუდმივი დენის ელმავლის ელექტროამძრავის იმიტაციური მოდელების შექმნა, საფეხურეობრივი გაშვების თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს მოგვეხდინა იმ ელმავალთა უკვე არსებული გამშვი რეოსტატების შეფასება და სრულყოფა, რომლებსაც აწარმოებს თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა.

მოცემულ ნაშრომში გამშვი რეოსტატების სქემები მოყვანილი არიან MATLAB - ის ვირტუალური მოდელების სახით, რომლებიც აღწერენ რეოსტატის ყველა საფეხურის სიდიდეებს და თითოეულ სექციაში დენების სიდიდეებს გაშვების ყველა საფეხურისათვის, ხოლო გვექნება რა მონაცემები სექციაში პარალელური ელემენტების რიცხვის შესახებ, ადვილად შეიძლება განისაზღვროს მათში დენების სიდიდეები.

$4E1$ და $4E10^2$ სერიის ლოკომოტივებზე მოძრაობის სიჩქარის რეგულირება ხორციელდება ისე, როგორც მუდმივი დენის ყველა ელმავალზე, რომელთაც აწარმოებს თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, ანუ ძაბვის სიდიდის ცვლილებით წევის ძრავების მომჭერებზე და მაგნიტური ნაკადის ცვლილებით მათი ალგუნების გრაგნილებში, ხოლო გაშვებისათვის უმეტესწილად იყენებენ არაავტომატურ საფეხურეობრივ რეოსტატულ გაშვებას.

რეოსტატული გაშვების დანიშნულება მდგომარეობს გამშვი დენისა და გამშვი წევის მომენტის საჭირო მნიშვნელობათა შენარჩუნებაში ელექტროამძრავის გაქანების პროცესში, სიჩქარის მახასიათებლების სვლის საფეხურზე გასვლამდე. გამშვები წევის ძალები და დენები განისაზღვრება აჩქარებით განპირობებული ბორბლების რელსებთან მოჭიდების პირობებით და რეოსტატული გაშვების ხერხით. დენით ხანგრძლივი მოძრაობისათვის იყენებენ სვლის (ავტომატურ) მახასიათებლებს, რომლებიც მიიღებიან წევის ძრავათა სხვადასხვაგვარი შეერთებისას და ალგუნების რეგულირების სხვადასხვა კოეფიციენტებისას. რეოსტატული გაშვების მახასიათებლებისაგან განსხვავებით მას ეკონომიურ მახასიათებლებსაც უწოდებენ.

რეალურ ელმავალზე მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესებისა და კომპიუტერული მოდელის ლოკომოტივის ძალოვან ქსელში მიმდინარე იგივე პროცესების შესაბამისობის შესამოწმებლად, ჩატარდა გამოთვლები პოზიციების გამოყვანის რეალური გრაფიკების გამოყენებით. რეალური ელექტრომაგნიტური პროცესების გამოსახულება ემთხვევა მოდელირების დროს მიღებულ პროცესებს. იმიტაციური მოდელის დახმარებით აპროქსიმაციის მეთოდით მიღებული დენისა და სიჩქარის მახასიათებლები ემთხვევიან ქარხნულ მახასიათებლებს. ეს ადასტურებს შექმნილი მოდელების ადეკვატურობას. პრაქტიკულად სრული დამთხვევა შეინიშნება დაძვრის მომენტში და მ-დან κ შეერთებაზე გადასვლისას. მოდელების საშუალებით მიღებულ დამოკიდებულებებში ჩანს, რომ რეოსტატულ პოზიციებზე დენის ავარდნები გაპირობებულნი არიან გამშვი რეოსტატის

აღკაზმულობის არასრულყოფილებით. ამიტომ დამუშავდა ახალი გამშვი რეოსტატი.

ახალი აღკაზმულობა ითვალისწინებს რეოსტატის ელემენტების რაოდენობის შემცირებას და აგრეთვე თითოეული ელემენტის მჭიდრო დატვირთვას.

ტემპერატურულ მიმართებაში სწორად დაპროექტებული ელექტრო ამძრავის გამშვი რეოსტატი ქმნის საუკეთესო ტექნოლოგიურ პირობებს წარმადობის ხარისხის მხრივ, ამარტივებს და ამსუბუქებს მექანიზმის მართვას და ამალღებს მის საიმედოობას. არსებობს აგრეთვე რიგი პირობებისა – ენერჯის მინიმალური კარგვა, ეკონომიურობა, კომპაქტურობა და სხვ., მაგრამ, ხარისხის ძირითად მაჩვენებლად მაინც ძრავის გადახურების გამორიცხვის უზრუნველყოფა რჩება.

გამშვ წინაღობათა გახურებაზე ტემპერატურული გამოთვლების შედეგების შედარებისას, რომელიც შესრულებულია გამშვი რეოსტატების არსებული და ახალი აღკაზმვის სქემებისათვის, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: ახალი სქემის ჯგუფში ტემპერატურათა სიდიდეები პრაქტიკულად ყველგან შემცირდა და ელემენტების დატვირთვა უფრო თანაბარი გახდა.

დამუშავდა გამშვი რეოსტატის მოდელის საერთო სტრუქტურა, მიმდევრობითი აღზნების მუდმივი დენის წვეის ძრავის მოდელის სქემა ძაბვის წყაროს ბაზაზე. 4E1 და 4E10² გამშვ რეოსტატთა მოდელები.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა შესაძლებლობა მოგვცეს დაგვედგინა, რომ ახალი გამშვი რეოსტატის სექციათა გახურების ტემპერატურის გაფანტულობა შემცირდა და შემცირდა გახურების მაქსიმალური ტემპერატურა არსებულ გამშვ რეოსტატთან შედარებით; დაგვედგინა ელექტრომაგნიტურ კონტაქტორთა ამოქმედების დროთა გაფანტულობის დასაშვები დიაპაზონი; შეგვექნა TII-2K წვეის ძრავის მოდელი, რომელიც ასახავს, არა მარტო დამყარებულ, არამედ გარდამავალ პროცესებსაც. დამუშავდა პროგრამული კომპლექსი 4E1 მუდმივი დენის ოთხდერძიანი ელმავლის ძალოვან ქსელში ელექტრომაგნიტურ პროცესებზე დასაკვირვებლად.

ჩატარებული სამუშაოების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- დამუშავდა მუდმივი დენის ელმავლის ამძრავის მათემატიკური მოდელი, რომელიც გამშვ წინაღობათა გამოყვანის საშუალებას იძლევა;
- შედარებითი თბური გამოთვლის საფუძველზე დადგინდა, რომ გამშვი რეოსტატის აღკაზმვის ახალი ვარიანტი უზრუნველყოფს სექციის ელემენტთა გახურების ტემპერატურების დიდ თანაზომიერებას არსებულთან შედარებით და გახურების მაქსიმალური ტემპერატურის დაწევას;
- დამუშავდა ძალოვანი ქსელის მოდელი ელექტროპნემატური კონტაქტორების ამოქმედების დროთა გაფანტულობის გათვალისწინებით, შესრულდა ამ პარამეტრის სტატისტიკური მოდელირება, განისაზღვრა შემთხვევითი დენებისა და ძაბვების სიდიდეების და მათი ხანგრძლივობათა მახასიათებლები.

Abstract

The main task of the dissertation work is the development of imitation models of constant current electric locomotive gear having the individual electrostatic rheostat contractors with allowance of peculiarities of gradual starting of rheostats of electric locomotives produced by Tbilisi Electric Locomotive Building Plant.

In the present work the circuits of starting rheostats are brought in the form of virtual models of MATLAB of reproduced sizes of all steps of the rheostat and current magnitude in each sections during of all starting steps. And having the data on the number of parallel elements in sections it is easy to define the magnitude of currents in them.

Regulation of speed of motion on the locomotives of the series 4E1 and 4E10² is realized in the same manner as on all electric locomotives of constant current, i.e. by means of changing of stress rate on the clamps of tracking engines and magnetic flux in their excitation coils, and for starting most of all it is used non-automatic stepped rheostat startup.

Function of the rheostat setup is to support the starting current and starting driving force in the process of electric movable locomotive till its withdrawal onto the motion step of the speed characteristics of driving engines. The starting driving forces and the current are defined by the terms of wheel-rail adhesion specified by speeding up (acceleration) and method of rheostat start. For long driving as a current there are used the running (automatic) characteristics obtained by various contacts of driving engines and various coefficients of regulation of excitation. These characteristics are called as well the economical ones in comparison to characteristics of rheostat start.

For checking the compliance of electromagnetic processes running on a real electric locomotive, with the similar processes running in computer model of power chain of a locomotive, the calculations have been fulfilled by means of using of real schedules of withdrawal of the positions. Type of real electromagnetic processes coincides with the processes obtained during the modeling. The current, velocity characteristics obtained by means of the simulation models, method of approximation coincide with those of factory ones. These witness to the adequacy of developed models. Practically the complete similarity is observed in the moment of breakaway (starting) and during the transit from S onto P. On the dependencies, received by means of models it is shown that the current steps (jumps of currents) on the rheostat positions are conditioned by the imperfection of arrangement of the starting rheostat. That is why a new starting rheostat has been developed.

A new arrangement envisages reducing of number of rheostat elements, as well a dense charging of each element.

The correctly designed starting rheostat of the electric drive in temperature relation creates the best technological conditions in terms of productivity quality and makes it easy, simple and reliable to control the mechanism. There is available as well a number of conditions – minimal loss of energy, cheapness, compactness, etc. but the main indicator of quality is still provision with impossibility of overheating.

While comparing the results of temperature calculations performed for available and new circuits of arrangement of starting rheostat on heating the starting resistors, it is possible to make the following conclusions: the values of the temperatures in the second case practically are everywhere considerably lowered, charging of elements by new circuit has become more uniform.

A general structure of the model of starting rheostat, a scheme of the model of driving engine of constant current with the serial excitation on the basis of voltage source (appeared in the model of starting rheostat) has been developed. 4E1 4E10² - the models of starting rheostats of the locomotive.

The carried out investigations have allowed us: to establish that the scattering of heating temperature of sections of the starting rheostat (SR) has reduced and the maximal heating temperature has been reduced in comparison to the available SR; to identify the admitted range of scattering of actuation times of electro pneumatic contactors; A model of driving engine TJI-2K has been created which reflects not only the established processes but the transient ones as well; A bundled software has been developed for observation of electromagnetic processes in the force chain of constant current eight-wheel locomotive 4E1.

The following conclusions can be done on carried out works:

- A mathematical model of constant current driving locomotive 4E1 has been developed allowing to imitate the withdrawal of starting resistors;
- On the basis of relative heating calculation it is established that the new version of arrangement of starting rheostat provides with great uniformity of heating temperature of sections in comparison to those of existing ones and lowering of maximal heating temperature;
- A model of a power circuit has been developed with allowance of scattering of actuation time of electro pneumatic contacts, a statistical modeling of this parameter is performed, the characteristics of random magnitudes of currents and voltages and their durations have been defined.

შინაარსი

შესავალი	13
თავი I. ელექტრომაგნიტური პროცესების სიმდოვრის გამოკვლევა ელ- მავლის გაქანებისას, გამშვებ რეოსტატთა სხვადასხვა ვარიანტებით.....	19
1.1. ზოგადი ცნობები გამოსაკვლევ ობიექტის შესახებ	19
1.2. ზოგიერთი ცნობა $4E10^{\circ}$ ელმავლის შესახებ	24
1.3. ელმავალ $4E10^{\circ}$ -ის არსებული გამშვი რეოსტატის თავისებურებათა განხილვა.....	37
1.4. $TJ-2K$ წვეის ელექტროძრავის საიმიტაციო მოდელის შექმნა და გამოყენება.....	40
1.5 ზოგიერთი ცნობა $4E1$ ელმავლის შესახებ	46
თავი II. წვეის ძრავების გამშვი რეოსტატების თბური რეჟიმების გამოკვლევა	65
თავი III. კონტაქტორთა მიწებების პროცესის გამოკვლევა. ამოქმედების დროის გაზომვის გავლენა ელექტრომაგნიტურ პროცესებზე.....	91
თავი IV. ძალოვანი სქემის მოდელის დამუშავება	99
შედეგები და მათი განსჯა.....	109
დასკვნები:.....	110
გამოყენებული ლიტერატურა:.....	112

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1.1. ელმავალ $4E10^2$ გამშვი რეოსტატის სექციების პარამეტრები...	29
ცხრილი 1.2. გამშვი რეოსტატის საფეხურთა წინაღობები.....	30
ცხრილი 1.3. გამშვი კონტაქტორების ჩართვა თანამიმდევრობა	39
ცხრილი 1.4.....	45
ცხრილი 1.5. ელმავალ $4E1$ გამშვები რეოსტატის სექციათა პარამეტრები....	49
ცხრილი 1.6. ელმავალ $4E1$ -ის გამშვები პოზიციების რეზისტორთა სიდიდეები და რეოსტატის კონტაქტორთა ჩართვის თანამიმდევრობა.....	49
ცხრილი 2.1. $4E10^2$ -ის დაძვრისა და გაქანების დროს დენების განაწილება რეზისტორთა სექციის ელემენტების მიხედვით.....	74
ცხრილი 2.2. დენების განაწილება რეზისტორთა სექციის ელემენტების მიხედვით ექსპერიმენტალური რეოსტატისათვის.....	80
ცხრილი 2.3. ექსპერიმენტული გამშვი რეოსტატის შესაძლებლობათა.....	81
ცხრილი 2.4. ოთხღერძიანი ელმავლის ექსპერიმენტული რეოსტატის გამშვი პოზიციების რეზისტორთა სიდიდეები და კონტაქტორების ჩართვის თანამიმდევრობა	82
ცხრილი 2.5. გამშვი წინაღობების გახურების ტემპერატურა არსებული რეოსტატისათვის.....	83
ცხრილი 2.6. გამშვი წინაღობების გახურების ტემპერატურა ექსპერიმენტალური გამშვი რეოსტატისათვის	85
ცხრილი 3.1. \bar{x} და S_x მნიშვნელობები გამოკვლეული შემთხვევითი სიდიდეებისათვის წევის ელექტროძრავების შესაბამის შეერთებებზე	96
ცხრილი 3.2. დენის იმპულსების, ძაბვისა და მათი ხანგრძლივობების მაქსიმალურად შესაძლებელი სიდიდეები.....	96
ცხრილი 3.3. \bar{x} და S_x მნიშვნელობები გამოკვლეული შემთხვევითი სიდიდეებისათვის წევის ელექტროძრავების შესაბამის შეერთებებზე	97
ცხრილი 3.4. დენის იმპულსების, ძაბვისა და მათი ხანგრძლივობების მაქსიმალურად შესაძლებელი სიდიდეები.....	97

ნახაზების ნუსხა

ნახ 1.1. ელმავლის დენური მახასიათებლები 4E10 ⁰	27
ნახ. 1.2. KΦM რეზისტორების ყუთი.....	28
ნახ. 1.3 ელმავალ 4E10 ⁰ -ს გამშვ რეზისტორთა წინააღობები პოზიციების მიხედვით	36
ნახ.1.4 ელმავალ 4E10 ⁰ არსებული გამშვი რეოსტატის სქემა.....	37
ნახ.1.5 სიჩქარის განსაზღვრის მოდელი.....	41
ნახ. 1.6. 4 E10 ⁰ ელმავლის სიჩქარის მახასიათებლები	43
ნახ.1.7. TJI-2K-ს დამაგნიტების მრუდი	44
ნახ.1.8 „პ“ რეჟიმში ელმავალ 4E1-ის მოდელი.....	46
ნახ 1.9 TJI-3 წვეის ძრავებიანი ელმავალ 4E1-ის სიჩქარის მახასიათებლები, როცა D=1200 მმ.....	50
ნახ. 1.10. ელმავალ 4E1 დენური მახასიათებლები.....	51
ნახ. 1.11. ელმავალ 4E1 გამშვები რეოსტატის სქემა.....	52
ნახ.1.12. ელმავალ 4E1 გამშვი რეოსტატის კონტაქტორთა ჩართვის ცხრ	53
ნახ.1.13. ელმავალ 4E1-ს გამშვ რეზისტორთა წინააღობები პოზიციების მიხედვით	58
ნახ.1.14 გამშვი რეოსტატის მოდელის საერთო სტრუქტურა (სექციებში დენების განსაზღვრისათვის).....	59
ნახ. 1.15 მონაცემთა ფორმირების მოდელის სქემა, გამშვი რეოსტატის მოდელისათვის	59
ნახ. 1.16. მიმდევრობითი აღვზნების მუდმივი დენის წვეის ძრავის მოდელის სქემა ძაბვის წყაროს ბაზაზე (გამოყენებული გამშვი რეოსტატის მოდელში).....	60
ნახ.1.17. ელმავალ 4E1- ის გამშვი რეოსტატის მოდელი	60
ნახ.1.18. «მ» რეჟიმში გამშვი რეოსტატის ყოველ საფეხურზე ელმავალ 4E1-ის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრის მოდელი.....	61
ნახ.1.19. ელმავალ 4E10 ⁰ ის გამშვი რეოსტატის მოდელი.....	61
ნახ. 1.20 გამშვი რეოსტატის მოდელის მონაცემთა ფორმირების მოდელის სქემა პარამეტრების შესაყვანი თავისი მუშა ფანჯრებით	62
ნახ. 1.21 საიმიტაციო მოდელების პარამეტრების შესაყვანი მუშა ფანჯ.	63
ნახ.1.22 სიჩქარის გაზრდის გრაფიკი ელმავალ 4E10-თვის.....	63
ნახ.1.23 TJI-2K-ს დამაგნიტების მრუდი	64

ნახ.2.1 დენების სავარაუდო სიდიდეები ერთ-ერთ ელემენტში.....	69
ნახ.2.2 ექსპერიმენტის დროს მოდელის მუშა ფანჯრები.....	75
ნახ.2.3 აქ დარეგისტრირებული არის დენები ყველა 10 სექციაში.....	76
ნახ.2.4 ექსპერიმენტულ გამშვებ რეზისტორთა წინაღობები პოზიციების მიხედვით	79
ნახ. 2.5 ექსპერამენტული გამშვი რეოსტატის სექციათა პარამეტრები.....	82
ნახ. 2.6 სექციის პირველი ჯგუფის გამშვ წინაღობათა გახურების მრუდები ა)არსებული რეოსტატისათვის, ბ) ექსპერიმენტალური რეოსტატისათვის.	87
ნახ. 2.7 სექციის მეორე ჯგუფის გამშვ წინაღობათა გახურების მრუდები ა)არსებული რეოსტატისათვის,ბ)ექსპერიმენტალური რეოსტატისათვის...	88
ნახ. 2.8 სექციის მესამე ჯგუფის გამშვ წინაღობათა გახურების მრუდები ა)არსებული რეოსტატისათვის, ბ)ექსპერიმენტალური რეოსტატისათვის..	89
ნახ. 2.9 გახურების საშუალო მნიშვნელობები 2 გამშვი რეოსტატისათვის t II -არსებული რეოსტატისათვის, t I-ექსპერიმენტალური რეოსტატისათვის .	90
ნახ.3.1. გაშვების იმიტაციური მოდელი.....	91
ნახ.3.2 გაშვების მოდელის მუშა ფანჯარა	92
ნახ.3.3. ელმავალ 4E10 ⁰ ის გამშვი რეოსტატის მოდელი გაშვების ექსპერიმენტისათვის.....	93
ნახ. 4.1 წვევის ძრავის ჩართვის სქემა წვევის რეჟიმის დროს.....	101
ნახ. 4.2 ელმავლის ძალოვანი ქსელის მოდელი	104
ნახ.4.3. იმიტაციური მოდელის საშუალებით მიღებული დამოკიდებულებები	105
ნახ.4.4 ინდუქტიურობები	106
ნახ.4.5 მ.ქ.კ. ნახოდკინის მიხედვით.....	106
ნახ. 4.6. მ.ქ.კ. გიორგაძის მიხედვით	107
ნახ. 4.7. კბილანური გადაცემის მ.ქ.კ.....	107
ნახ. 4.8. სრული სიმძლავრის მ.ქ.კ.....	108

მადლიერება

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორს კონსტანტინე წერეთელს, დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში გაწეული სამეცნიერო და პედაგოგიური შრომისათვის.

შესავალი

2000 წელს, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის მიერ 4E1 და 4E10² მუდმივი დენის ოთხღერძიანი ელმავლების შექმნის პროცესში გამოიყენებოდა კვანძები და აგრეგატები, რომელსაც აღნიშნული ქარხანა აწარმოებდა რვაღერძიანი BJI სერიის ელმავლებისათვის. მან ქარხანას საშუალება მისცა მაქსიმალურად მოკლე დროში მოემარაგებინა საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზა სამგზავრო ელმავლებით. ამავდროულად მუდმივი დენის ოთხღერძიან 4E1, ხოლო შედგომში 4E10² ელმავლების შექმნისას პრიორიტეტი ენიჭებოდა ელექტროენერჯის ეკონომიის პროცესს და არა გადაადგილების სიჩქარის გაზრდას.

ხელახლა შექმნილი ოთხღერძიანი ელმავალი, 4E1 გამოშვებულია ორ ეგზემპლარად. მასზე დამონტაჟებულია T13 ტიპის წვეის ძრავები. აღნიშნული ელმავლის კონსტრუქციამ თავის თავში აითვისა ყველა ის ექსპერიმენტალური გადაწყვეტილება, რომლებმაც გამართლება ჰპოვეს აღნიშნული ქარხნის მიერ ადრე გამოშვებული ელმავლებში. ასე, მაგ., გამოყენებულია შედეგი ელემენტები:

- საზიდაო დამრეცი წვევებით;
- გაერთიანებული ძალოვანი ელექტრომანქანური კონტაქტორები;
- ველის შესუსტების რეგულირების გამართივებული სქემა კონტაქტორთა რიცხვის შემცირებით;
- რეზისტორულ-დიოდური დამცავი ქსელები, რელე-კოჭებისა და კონტაქტორების გადატვირთვებისაგან დამცავი შუნტირება.
- წვეის ძრავებისა და დამხმარე მანქანების განცალკევებული დაცვა და ა.შ.

ამავე დროს ელმავალზე გამოყენებულ იქნა ზოგიერთი კონსტრუქციული და სქემური სიახლე:

- ოთხღერძიან ელმავალს პირველად დაუყენეს ორი მაღალი ძაბვის კამერა, რომელთა შორის მოთავსებულია ელმავლის ყველა დამხმარე ელექტრული მანქანა.

- გამოყენებული არის ПК-3,5 ტიპის უფრო დახვეწილი და უფრო სწრაფი კომპრესორები, რომლებსაც ამძრავად ემსახურებიან მათთვის შექმნილი TL-121 ტიპის მუდმივი დენის ძრავები.
- დაპროექტებული და შექმნილი ძრავი-სავენტილაციო აგრეგატი, C12-40 ტიპის ცენტრიდანული ვენტილატორით და TL-120 ტიპის ძრავით.
- ელმავლის სქემა საშუალებას იძლევა ნებისმიერი ერთ-ერთი წევის ძრავის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში გამოიყენოს სამი დანარჩენი;
- ძრავ-ვენტილატორთა გადართვა ერთი შეერთებიდან მეორეზე ხდება მათი ქსელიდან გამორთვის გარეშე სავენტილო დახმარებით.
- მართვის ქსელების კვება და აკუმულატორთა ბატარეების დამუხტვა ხორციელდება ახლად შექმნილი კომპაქტური მარიგულირებელი მოწყობილობით, რომელიც იყენებს ციფრულ ელემენტებს.
- მემანქანის კაბინაში წევის ძრავის ღუზის დენისა და ქსელის ძაბვის გასაზომად გამოიყენება დაბალვოლტიანი მოწყობილობები (ანუ კაბინაში მაღალი ძაბვა არ შედის).
- გაზრდილია კაბინის ზომა (სერია BII-თან შედარებით) და გაუმჯობესებულია ხედვის არე რაც მთლიანი საქარე მინის მონტაჟის დამსახურებას წარმოადგენს.

ელმავლების ელექტრომობილარების 70%-ზე მეტი მოდის ელექტრო-ამძრავებზე. აქედან გამომდინარეობს თუ რა მნიშვნელოვანი შედეგი შეიძლება მივიღოთ ელექტროამძრავის წრედის შემადგენელი სხვადასხვა ელემენტების გაუმჯობესებით. ამა თუ იმ წევის ელექტროამძრავის ნაკლოვანებებისა და უპირატესობების შესაფასებლად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მათი მაჩვენებლებისა და მახასიათებლების შემუშავებასა და დასაბუთებას. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს მათემატიკური მოდელირების თანამედროვე მეთოდების საშუალებით.

კოლექტორულძრავებიანი მუდმივი დენის ელმავლების წევის ელექტროძრავებში განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰპოვა ადგუნების

გრაგნილის მიმდევრობითმა შეერთებამ ღუზის წრედთან. ღუზის ბრუნვის სიხშირის რეგულირება ხდება ღუზაზე მოდებული ძაბვის ცვლილებით ნულიდან ნომინალურამდე, ხოლო გამოყენებულ მოძრაობის სიჩქარეთა დიაპაზონის გაფართოვება ხდება ალგორითმის მაგნიტური ველის საფეხურობრივი შესუსტების გზით. ამასთანავე წყდება მთელი რიგი საკითხებისა წვევის ძრავის მუშაობის მდგრადობასთან დაკავშირებით, სახელდობრ: ღუზის გრაგნილის დიდი ინდუქტიურობა ალგორითმის გრაგნილთან ერთად ასუსტებს დენის ავარდნებს საკონტაქტო ქსელის ძაბვის მკვეთრი ცვლილებისას. ალგორითმის გრაგნილის ჩართვა ღუზის ქსელში წარმოშობს დენით ძლიერ უარყოფით უკუკავშირს, რაც აადვილებს ძრავის მიერ განვითარებული მომენტის მართვის ამოცანას და ასტაბილურებს მართვის პროცესს.

4E1 და 4E10² სერიის ლოკომოტივებზე მოძრაობის სიჩქარის რეგულირება ხორციელდება ისე, როგორც მუდმივი დენის ყველა ელმავალზე, ანუ ძაბვის სიდიდის ცვლილებით წვევის ძრავების მომჭერებზე და მაგნიტური ნაკადის ცვლილებით მათი ალგორითმის გრაგნილებში.

ელმავლებზე, სადაც მემანქანე გამშვებ რეჟიმს ცვლის ფართო დიაპაზონებში, (რაც დამოკიდებულია მატარებლის წონაზე, გზის პროფილზე, მოჭიდების პირობებზე, მოძრაობის საჭირო სიჩქარეზე), უმეტესწილად იყენებს არაავტომატურ საფეხურობრივ რეოსტატულ გამშვებას.

ელმავლის გამშვებისა და მართვის რეოსტატულ-კონტაქტორული სისტემა, რომელიც თავისი საიმედოობითა და სიმარტივით დღესდღეობით ტოლს არ უდებს უფრო ეკონომიურ და პერსპექტიულ იმპულსური რეგულირების სისტემას, მათ შორის ამ ელმავალზეც იქნა გამოყენებული, მაგრამ საბოლოოდ რვაღერძიან ელმავალთა გამშვი რეოსტატების ოთხღერძიან ელმავლებზე გამოყენება შეუძლებელი გახდა მიუხედავად იმისა, რომ გამოიყენებოდა ერთი და იგივე ТЛ-2К ტიპის ძრავები. ამისათვის ცალკე შემუშავდა გამშვები რეოსტატის ვარიანტი ოთხღერძიანი ელმავლისათვის.

ტემპერატურულ მიმართებაში სწორად დაპროექტებული ელექტრო ამძრავის გამშვები რეოსტატი ქმნის საუკეთესო ტექნოლოგიურ პირობებს წარმადობის ხარისხის მხრივ, ამარტივებს და ამსუბუქებს მექანიზმის მართვას და ამადლებს მის საიმედოობას. არსებობს აგრეთვე რიგი პირობებისა – ენერჯის მინიმალური კარგვა, ეკონომიურობა, კომპაქტურობა და სხვ., მაგრამ ხარისხის ძირითად მაჩვენებლად მაინც გადახურების გამორიცხვის უზრუნველყოფა გვეჩვენება.

ელექტროამძრავის დასაპროექტებლად საჭიროა ვიცოდეთ ამძრავის შემადგენელ ელემენტთა მექანიზმების, ძრავების, აპარატურის, წინაღობების ტექნოლოგიური პროცესები.

წინაღობის როლი, როგორც ამძრავის შემადგენელი ელემენტისა დიდია. მართლაც, გაშვების, გაჩერების რეჟიმები და სიჩქარის რეგულირება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება წინაღობათა საშუალებით. ელექტროწევაში წევის ელექტროძრავები დროის მნიშვნელოვან ნაწილს ანდომებენ ხელოვნურ მახასიათებლებზე მუშაობას – ასეთ შემთხვევებში წინაღობათა როლი, მათი სწორი შერჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

$4E1$ და $4E10^2$ ოთხღერძიან ელმავალთა აგების წლებში არ იყო შესაძლებლობა მათი მრავალმხრივი და ძვირადღირებული ნატურალური გამოცდებით შესწავლისა და გამართვისა. არ შესრულებულა მათი წინასწარი სამოდულო გამოცდები, თემქ-ის თანამშრომლები გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში იღებდნენ მონაწილეობას ელმავლის სამოდულო გამოცდებში, მაგრამ ამ მიმართულების გამოკვლევებმა შემდგომი განვითარება ქარხანაში ვერ მიიღეს [1].

ამ ნაშრომში შესრულებულ გამოკვლევებს შეუძლიათ ნაწილობრივ მაინც შეავსონ არასრულყოფილი წარმოდგენა, მაგ., გამშვი რეოსტატის ეკონომიურობაზე.

მოდელირება წარმოადგენს კვლევის ერთერთ ყველაზე საიმედო მეთოდს, როგორც მარტივი ისევე რთული ტექნიკური სისტემებისათვის. მოდელსა და ობიექტს შორის არსებობს კავშირი: მოდელი თავის

საფუძველში ასახავს ობიექტის რეალობას და საშუალებას გვაძლევს გარკვეულ საზღვრებში ჭეშმარიტებასთან ახლოს მოვახდინოთ ობიექტის თვისებათა იმიტაცია.

რეოსტატული გაშვების დანიშნულება მდგომარეობს გამშვი დენისა და გამშვი წევის მომენტის საჭირო მნიშვნელობათა შენარჩუნებაში, ელექტროამძრავის გაქანების პროცესში, სიჩქარის მახასიათებლების სავალის საფეხურზე გასვლამდე. გამშვები წევის ძალები და დენები განისაზღვრება, აჩქარებით განპირობებული, ბორბლების რელსებთან მოჭიდების პირობებით და რეოსტატული გაშვების ხერხით. დენით ხანგრძლივი მოძრაობისათვის იყენებენ სვლის (ავტომატურ) მახასიათებლებს, რომლებიც მიიღებიან წევის ძრავათა სხვადასხვაგვარი შეერთებისას და აღზნების რეგულირების სხვადასხვა კოეფიციენტების დროს. რეოსტატული გაშვების მახასიათებლებისაგან განსხვავებით ამ მახასიათებლებს ეკონომიურ მახასიათებლებსაც უწოდებენ.

რეოსტატული გაშვების ინდივიდუალურ ელექტროპნევმატურ კონტაქტორებიანი მუდმივი დენის ოთხღერძიან ელმავალთა საიმიტაციო მოდელის შესაქმნელად გამოყენებულია პაკეტი MATLAB და მისი დანართი Power System და Simulink . Simulink დინამიური სისტემების მოდელირების, იმიტაციისა და ანალიზის ინტერაქტიული ინსტრუმენტია, ის საშუალებას იძლევა ავაგოთ გრაფიკული ბლოკ-დიაგრამები, მოვახდინოთ დინამიურ სისტემათა იმიტაცია, გამოვიკვლიოთ სისტემათა ქმედითუნარიანობა და მოვახდინოთ პროექტების სრულყოფა [48],[49],[50],[52] .

პაკეტი Matlab-ის დასახელება მომდინარეობს სიტყვათა სინთეზიდან Matrix და Laboratoru, ის ორიენტირებულია მოცემულობათა მასივის დამუშავებაზე (მატრიცა და ვექტორი). დღეისათვის Matlab წარმოადგენს ფუნქციათა უმდიდრეს ბიბლიოთეკას (800-ზე მეტი). პაკეტთან მუშაობის გასაადვილებლად, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ, ფუნქციის მთელი ბიბლიოთეკა დაყოფილია

განყოფილებებად. მათ შორის ისინი, რომლებიც არიან საერთო თვისებების მატარებლები, შედიან ბირთვის შემადგენლობაში, ხოლო ის ფუნქციები, რომლებიც სპეციფიკურები არიან კონკრეტული დარგისათვის, ჩართულნი არიან გაფართოვების (Toolboxes, Blocksets) პაკეტის შემადგენლობაში.

Simulink წარმოადგენს Matlab-ის დანართს. Simulink-ის გამოყენებით მოდელირებისას, ხდება ვიზუალური პროგრამირების პრინციპის რეალიზება. შესაბამისად მომხმარებელი სტანდარტული ბლოკებიდან ეკრანზე ქმნის მოწყობილობის მოდელს და აწარმოებს გამოთვლებს.[32],[33],[38].

Simulink მთლიანად ინტეგრირებულია Matlab-თან, უზრუნველყოფს რა მყისიერ კავშირს ანალიზისა და პროექტირების ინსტრუმენტთა ფართო სპექტრთან [31],[45],[46],[47],[51].

ბოლო ათწლეულის განმავლობაში MATLAB და MathCAD პაკეტებით სარგებლობს ლოკომოტივის მუშაობის კვლევებთან დაკავშირებული ყველა სერიოზული კვლევითი ცენტრი. კერძოდ, შეგვიძლია ავღნიშნოთ პროფ. ა.ნ. სავოსკინის ჯგუფი „გზებისა და მიმოსვლის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან“ (МИИТ), რომელიც ფართოდ იყენებს MATLAB- ის პაკეტს თავის გამოკვლევებში [13],[14],[15],[16].

„სრულიად რუსეთის ელმავალმშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში“ (ВЭЛНИИ) შექმნილია მოდელი, რომელიც იყენებს OrCAD მოდელირების სისტემას. მოდელი შესრულებულია დამოუკიდებელ აღგზნებიანი წვევის ელექტროძრავების მქონე ოთხღერძიანი სექციისათვის [17].

„სრულიად რუსეთის სარკინიგზო ტრანსპორტის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში“ (ВНИИЖТ) ერთ-ერთ ნაშრომში გამოყენებულია, მაგ., MathCAD-ის პროგრამული პაკეტი [18].

თავი I. ელექტრომაგნიტური პროცესების სიმდოვრის გამოკვლევა ელმავლის გაქანებისას, გამშვებ რეოსტატთა სხვადასხვა ვარიანტებით

1.1. ზოგადი ცნობები გამოსაკვლევ ობიექტის შესახებ

წევის ძრავის გამშვი დენის შესაზღუდად მის წრედში შეჰყავთ დამატებითი ომური (აქტიური) წინაღობა, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის წრედის საერთო წინაღობას. გამშვი რეოსტატი გამოიყენება აგრეთვე მიმდევრობითი სვლის მახასიათებლებიდან პარალელური სვლის მახასიათებლებზე გადაყვანის შემთხვევაში, როცა წევის ოთხივე ელექტროძრავი (წ.ე.ძ.) მიმდევრობით არიან შეერთებულნი და გადაგყავს სქემაზე, როდესაც ორი მიმდევრობით შეერთებული წ.ე.ძ. პარალელურადაა შეერთებული ასევე მიმდევრობით შეერთებულ დანარჩენ ორ წ.ე.ძ.-თან (ორი წ.ე.ძ. ყოველთვის მიმდევრობით უნდა იყოს ჩართული რადგანაც თითოეული მათგანის იზოლაცია გათვლილია 1500 ვოლტზე, ხოლო მკვებავი ქსელი ნომინალური ძაბვა შეადგენს 3000 ვოლტს). ამრიგად ოთხდერძიანი ელმავლებისათვის, გარდა მიმდევრობითი ჩართვისა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძრავების მხოლოდ ერთი დამატებითი დაჯგუფება.

ელმავლის ადგილიდან დაძვრის მომენტში, ყველა წევის ძრავთა ე.მ.ძ. ნულის ტოლია და მათ გრაგნილებში დენები დამოკიდებული არიან მხოლოდ მოდებულ ძაბვებზე და ძალური წრედის წინააღობებზე. $V=0$ სიჩქარის დროს წევის ელექტროძრავას აქვს მაქსიმალური დენი, ამ დროს მოჭიდების მაქსიმალური კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს წევის ძრავის კომუტაციის დენის მაქსიმალურ ზღვრულ მნიშვნელობას რომელიც მიღებულია $1.51 I_{სთ}$ [2] ტოლად.

გამშვი რეოსტატის რამოდენიმე პირველ პოზიციაზე წევის ძრავის ღუზა პრაქტიკულად არ ბრუნავს და ამიტომ ელმავლის დენი განისაზღვრება ფორმულით:

$$I_{საერ} = U_{ქსელ} / (R_i + 4 \sum r_{ძრავ}) \quad (1.1)$$

სადაც: $U_{ქსელ}$ - ქსელის ძაბვა; $\sum r_{ძრავ}$ - ძრავის ყველა გრაგნილის წინაღობა; R_i - გამშვები რეოსტატის წინაღობა.

მასთან R_i -ს გააჩნია თავისი სიდიდე თითოეული პოზიციისათვის. მატარებლის გაქანების პროცესში წევის ელექტროძრავი იწყებს ბრუნვას და წარმოიქმნება ე.მ.ძ., რომელსაც აქვს მოდებული ძაბვის შემხვედრი მიმართულება. ამიტომ ძალური ქსელის უცვლელი ძაბვისა და წინაღობის პირობებში ელექტროძრავების დენი სიჩქარის ზრდასთან ერთად მცირდება. ეს დამოკიდებულება გამოისახება ფორმულით:

$$V_r = [U_{ძრავ} - I_{ძრავ} (r_a + r_f + R)] / C_v \Phi \quad (1.2)$$

სადაც: $U_{ძრავ}$ - ძაბვა ძრავის მომჭერებზე; V_r - ელმავლის სიჩქარე გამშვები რეოსტატის გამოყენებისას; $I_{ძრავ}$ - ძრავის დენი სრული აგზნების დროს; Φ - მაგნიტური ნაკადი; C_v - მუდმივი სიდიდე.

მატარებლის გაქანება გრძელდება ე. წ. გამშ სიჩქარემდე $V_{გამშ}$, რომლის დროსაც ძრავის მუშაობა გადადის ბუნებრივ (სვლის) მახასიათებელზე.

გამშვები რეოსტატის შეერთების სქემის დაპროექტების დროს რეზისტორის ელემენტებისა და გამშვი კონტაქტორების რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობით გამოყენების მიზნით, გაშვების საფეხურების გარკვეული რაოდენობის დროს ცდილობენ შეასრულონ შემდეგი პირობები:

- გაშვების თითოეულ პოზიციაზე რეზისტორების თანაბარი გახურებისათვის მათზე თანაბარი დენური დატვირთვის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფა, რეზისტორების საფეხურების გადართვა დენის გაწყვეტის გარეშე.
- სქემაში ორი არათანაბარწინაღობიანი რეზისტორთა ჯგუფის გამოყენება. მათი თავიდან მიმდევრობით ხოლო შემდეგ პარალელური შეერთებით. ამასთან საფეხურიდან საფეხურზე გადართვა განხორციელდეს მხოლოდ ერთ-ერთ ჯგუფში მაშინ, როდესაც მეორე ჯგუფში წინაღობა უცვლელი რჩება (ამით მიიღწევა გამშვი დენის

რხევების შემცირება ორი კონტაქტორის არაერთდროული ამუშავების ფონზე, ერთი პოზიციიდან მეორეზე გადასვლის დროს).

- გათვალისწინებულ იქნეს, რომ ელმავლის დენის 40-60%-იანი საათობრივი რეჟიმის დროს შესაძლებელი იყოს ხანგრძლივი მოძრაობა რეოსტატის ნებისმიერ საფეხურზე.
- უზრუნველყოფილ იქნეს ჩართული წინაღობებით მოძრაობა საანგარიშო დენით წვევის ძრავების ხანგრძლივი მუშაობის პირობებში (საანგარიშო აღმართზე მოძრაობისას). ელემენტები უნდა შემოწმდეს გახურებაზე ორი-სამი რეოსტატული პოზიციისათვის, რომელიც წინ უსწრებს ურეოსტატო მოძრაობის თითოეულ რეჟიმს ავტომატური მრუდის მიხედვით.

წინააღმდეგობათა საფეხურებრივი ცვლილებისათვის გამშვი რეოსტატი იყოფა ნაწილებად (სექციებად), რომლებიც გაშვების პროცესში გამოირთვებიან ან უერთდებიან ერთმანეთს სხვადასხვა სქემით. სექციებში პარალელურად და მიმდევრობით შეერთებული ელემენტების რაოდენობა სხვადასხვა სექციაში ერთნაირი არ არის, რითაც მიიღწევა სხვაობა სექციათა წინააღმდეგობებში. სექციათა ერთმანეთთან სხვადასხვაგვარი კომბინაციებით შეერთების გზით შეიძლება მიღებულ იქნეს გამშვები რეოსტატის საჭირო წინააღმდეგობა გარკვეული საფეხურისათვის.

წინააღმდეგობათა სექციებისა და მათთან დაკავშირებული კონტაქტორების შეერთების სქემები იმდაგვარად არიან შედგენილი, რომ საფეხურთა საჭირო რაოდენობისათვის გამოყენებულ იქნეს ერთიდაიგივე ტიპის კონტაქტორთა რაც შეიძლება მცირე რაოდენობა.

რეოსტატის სექციათა მიმდევრობა-პარალელური შეერთების სქემების გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულესთან, განსაკუთრებით ინდივიდუალური კონტაქტორების დროს. მაგ., ერთი პოზიციის ფარგლებში A კონტაქტორის ჩაკეტვისა და B კონტაქტორის გახსნის უზრუნველყოფა რთულია – შეიძლება აღმოჩნდეს, რომ A კონტაქტორმა ჯერ ვერ მოასწრო ჩაკეტვა ხოლო B კონტაქტორი კი უკვე გაიხსნა. ამ დროს

ქსელში მოკლე დროით შეყვანილი იქნება გაუთვალისწინებელი წინა-
ლობა, შემდგომ შეიძლება ერთდროულად გაითიშოს რეოსტატის ორი
მონაკვეთი.

ინდივიდუალურ კონტაქტორებიან სისტემებში მართვის აპარატები
შედგებიან კონსტრუქციულად დამოუკიდებელ ამომრთველთა კომპლექ-
ტისაგან, ე.წ. ინდივიდუალური კონტაქტორებისაგან, რომელთაგან
თითოეული აღჭურვილია ცალკე ჩართვის მექანიზმით – ამძრავით და
რკალჩაქრობის ელექტრომაგნიტური მოწყობილობით. კონტაქტების
დიდი სისწრაფით დაცილების უზრუნველსაყოფად იყენებენ ელექტრო-
პნევმატურ კონტაქტორებს.

ინდივიდუალური კონტაქტორების მართვისას მათი მოქმედების
მკაცრად განსაზღვრული თანამიმდევრობა ვონტროლიორის გამლით
ყოველთვის უზრუნველყოფილი არ არის. ამიტომ საჭირო ხდება
კონტაქტორების ერთმანეთთან ელექტრული ბლოკირება. ამისათვის
კონტაქტორების დამხმარე კონტაქტებს მიმდევრობით უერთებენ სხვა
კონტაქტორების ჩამრთველ კოჭებს [3],[23],[29]

რეოსტატში საფეხურთა მცირე რაოდენობა ამარტივებს და აიაფებს
აპარატურას, მაგრამ ამასთანავე ზრდის დენის რხევებს საფეხურიდან
საფეხურზე გადასვლისას. ამას მიყვავართ მოჭიდების წონის გამოყენების
შემცირებისაკენ დაძვრა – გაჩერების დროს და იწვევს მოძრავი შემა-
დგენლობისათვის და მგზავრებისათვის არახელსაყრელ ბიძგებს, რაც
დაკავშირებულია წევის ძალის ცვლილებებთან, ამიტომ ყოველ კონკრე-
ტულ შემთხვევაში ცდილობენ მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილება,
რომელიც გარკვეულწილად დააკმაყოფილებს, როგორც ეკონომიურ ისე
უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ВНИИЖТ ინსტიტუტის ურალის განყოფილებაში ჩატარებულ იქნა
თეორიული ცდები გამშვები რეზისტორების ენერგომოცულობის შესასწავ-
ლად სხვადასხვა ელმავლებისათვის. ამ კვლევების ავტორთა მტკიცებით,
გამშვები რეზისტორების ენერგომოცულობის გაზრდის მიზნით ან მათი

მასისა და გაბარიტების შესამცირებლად, მათი ცალკეულ სექციათა გადართვის სქემა უნდა იყოს ისეთი, რომ პოზიციათა რაც შეიძლება მცირე რიცხვის დროს წინაღობათა ცვლილება განხორციელდეს შუნტირებით და უმრავლეს შემთხვევებში ეს მიიღწეოდეს პარალელურ შტოებში გადართვის გზით [4],[39],[43].

დაძვრის დროს უმრავლეს შემთხვევაში ახორციელებენ მაქსიმალური მოჭიდების წვევის ძალას.

გამშვი რეოსტატის გაქანების საფეხურთა გათვლისას გამოდიან $I_{გაშ}$ გამშვი დენის შეზღუდვის პირობიდან ზღვრული მნიშვნელობებით

$$I_{\min} \leq I_{გაშ} \leq I_{\max}.$$

საფეხურეობრივი რეოსტატული გამშვებისას $I_{გაშ}$ გამშვი დენისა და წვევის ძალის საშუალო მნიშვნელობიდან გადახრა ხასიათდება არათანაბარი გამშვების კოეფიციენტით დენზე K_{HI} და წვევის ძალაზე K'_{HI} .

ამასთან

$$K_{HI} = (I_{\max} - I_{\min}) / 2I_{სშ} \quad (1.3)$$

$$K_{HF} = (F_{\max} - F_{\min}) / 2F_{სშ} \quad (1.4)$$

K_{HF} და K_{HI} არათანაბრობის კოეფიციენტებს შორის არსებობს შეფარდება:

$$K_{HF} = (1,2 - 1,25) K_{HI} \quad (1.5)$$

მაქსიმალური წვევის ძალა შეზღუდულია ბორბლების რელსებთან მოჭიდებით. მატარებლის გამშვება რომ მოხდეს ბუქსაობის გარეშე, ნებისმიერი პოზიციისათვის (საფეხურისათვის) დაცული უნდა იყოს პირობა:

$$(F_{\max} / P) \leq \Psi_K \quad (1.6)$$

სადაც, P – გოგოწყვილის რელსებზე დაწოლაა.

მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული ექსპერიმენტები, ჩაჭიდების Ψ კოეფიციენტისა და ლოკომოტივის მოძრაობის სიჩქარეზე მისი დამოკიდებულების ხასიათის განსაზღვრისათვის, საკმაოდ სხვადასხვა შედეგებს იძლევა [5],[22],[34],[36].

ეს აიხსნება როგორც პრობლემის სირთულით და ლოკომოტივის კონსტრუქციის ტიპთა სხვადასხვაობით, ასევე მოჭიდების კოეფიციენტის გამოცდათა ჩატარების სხვადასხვა მეთოდითა და პირობებით.

გამოთვლებისათვის შემოთავაზებულია სხვადასხვა დამოკიდებულებები მოჭიდების კოეფიციენტსა და მოძრაობის V სიჩქარეს შორის.

1.2. ზოგიერთი ცნობა 4E10² ელმავლის შესახებ

მომსახურების სახე	სამგზავრო
დენის სახე	მუდმივი
საკონტაქტო ქსელის ძაბვა	3000 ვ
ძაბვა ელექტროძრავის მომჭერებზე	1500 ვ
ელმავლის მასა	92 ტ
410 ² ელმავლის გოგოწვილის დაწოლა რელსზე	225,6 კნ
გოგოწვილების დიამეტრი (არტახის საშუალო ცვეთის პირობებში)	1,2 მ
სიმძლავრე საათობრივ რეჟიმში (ძრავის ლილვზე)	2689 კვტ
სიმძლავრე ხანგრძლივ რეჟიმში	2300 კვტ
სიჩქარე საათობრივ რეჟიმში	48,7 კმ/სთ
სიჩქარე ხანგრძლივ რეჟიმში	51,2 კმ/სთ
მაქსიმალური სიჩქარე	100კმ/სთ
წვეის ძრავთა შეერთების რიცხვი	2

ელმავალზე დამონტაჟებულია TA-2K1 წვეის ძრავი, რომელსაც გააჩნია შემდეგი ტექნიკური მონაცემები:

საათობრივი რეჟიმი

დენი	480 ა
სიმძლავრე	670კვტ
ბრუნვის სიხშირე	790 ბრ/წთ
მ.ქ.კ	0,931
აღზნების საფეხურთა რიცხვი	4

ველის შესუსტების უმცირესი საფეხური	36%
ხანგრძლივი რეჟიმი	
დენი	410 ა
სიმძლავრე	575 კვტ
ბრუნთა რიცხვი	830 ბრ/წთ
მ.ქ.კ.	0,93
გადაცემათა შეფარდება	88/23
გრაგნილთა წინაღობები 20°C ტემპერატურაზე,ომი :	
მთავარი პოლუსების	0,025
დამატებითი პოლუსებისა და საკომპენსაციო გრაგნილის	0,0356
ღუზის	0,0317
მთავარი პოლუსის ხვიათა რიცხვის რაოდენობა	W=19
მავენტილირებელი ჰაერის რაოდენობა	არანაკლებ 95 მ ³ /წთ

წევის ძრავების, კომპრესორის ელექტროძრავის, გამშვები რეზისტორების, ველის შესუსტების რეზისტორების და ინდუქციური შუნტების გასაგრძელებლად ჰაერის მიწოდება, აგრეთვე ჰაერის მიწოდება ძარაში ჭარბი წნევის შექმნისთვის, ხორციელდება ცენტრიდანული 43500მ³/სთ წარმადობის, II13-50 N8 ვენტილატორის საშუალებით. ტექნიკური მონაცემები TJI-2K1-ის შესახებ აღებულია [6.]


ელმავლის დენური მახასიათებლები მოყვანილია მთლიანად გამოყვანილი გამშვი რეზისტორების დროს, წევის ძრავების სხვადასხვა ძაბვებისას – აღზნების მთლიანი და ყველა საფეხურზე შესუსტების პირობებში, რაც გათვალისწინებულია ელმავლისთვის. ეს მახასიათებლები აგებულია TJI-2K1 წევის ელექტროძრავის ელექტრომექანიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით და მაქსიმალურად დასაშვებ სიჩქარეზე, წევის ძალის უდიდეს მნიშვნელობაზე, ელექტროძრავების წევის დენზე შეზღუდვების გათვალისწინებით, რაც განსაზღვრულია ნორმალური კომუტაციის ან რელსებთან თვლების მოჭიდების პირობებით.

ელმავალზე გათვალისწინებულია რეოსტატული დამუხრუჭების სისტემა, ამასთანავე დამუხრუჭების რეჟიმში ძირითადად გამოიყენება გამშვები რეოსტატის საფეხურები, მაგრამ არსებობენ დამატებითი საფეხურებიც.

წვევის ძრავების გადართვა ერთი შეერთებიდან მეორეზე ხორციელდება გადასვლის დიოდის დახმარებით.

დიოდური გადაყვანის გამოყენება, შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს წვევის ძალის ჩავარდნა, როგორც სიდიდის ასევე დროის მიხედვით. ამასთან ელმავლის წვევის ძალის ცვლილება პროპორციულად ნაწილდება ძრავებზე მაშინ, როდესაც ძრავების შუნტირების მიხედვით გადართვისას ელმავლის წვევის ძალის სიდიდის ჩავარდნის შემცირება მიიღწევა გადასვლის პერიოდში საკონტაქტო ქსელთან მიერთებული წვევის ძრავების დენის გაზრდის ხარჯზე [7],[41],[44]. ეს აუარესებს ელმავლის წვევის ხარისხს, რადგანაც წვევის ძრავათა გადაჯგუფების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს გოგოწყვილის ბუქსაობას.


დიოდური გადასვლის უპირატესობათა გათვალისწინებით ის პირველად გამოიყენეს და სერიაში დანერგეს БЛ 11 ელმავალზე და ექსპლუატაციის პირობებში მიიღეს დადებითი შედეგები.



ნახ 1.1. ელმავლის დენური მახასიათებლები 4E10⁶

4E10² ელმავლის გამშვი რეოსტატი აწყობილია ერთნაირი KΦ ტიპის ლენტურ ფეხრალისაგან დამზადებულ ელემენტებისგან, რომლის აქტიური წინაღობა 1,05 ომია. მთლიანად რეოსტატში 381 ელემენტია. ეს ელემენტები წარმოდგენილი არიან ორ ჯგუფად, რომელთაგან თითოეული შედგება ხუთი სექციისაგან. ელმავალ 4E10²-ის გამშვი რეოსტატის მთლიანი წინაღობა 15,984 ომია.

რეზისტორების ყუთი შეიცავს KΦ ტიპის 28 ელემენტს, რომლებიც განლაგებულნი არიან ოთხ ფენად, რიგში შვიდ-შვიდად.



ნახ. 1.2. KΦM რეზისტორების ყუთი

БЛ სერიის ელმავლებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ინდივიდუალურ კონტაქტორებთან ერთად გამოიყენებოდა ჯგუფური კონტაქტორებიც, 4E10² ელმავლებზე გამოიყენებიან მხოლოდ ინდივიდუალური კონტაქტორები. 4E10² ელმავლის ყველა რეოსტატული კონტაქტორი აღჭურვილია რკალმქრობი კამერით.

ელმავლის დაძვრისა და მოძრაობის, კონტაქტორთა გადართვის თანამიმდევრობა, აგრეთვე, გამშვებ რეზისტორთა წინაღობები პოზიციების მიხედვით მოყვანილია ცხრილ 1.2-ში.

ცხრილი 1.1. ელმავალ 4E10⁰ გამშვი რეოსტატის სექციების პარამეტრები

რეზისტორთა სექციები	R1	R2	R3	R4	R5	R6	R7	R8	R9	R10
წინაღობის ნომინალური მნიშვნელობა, ომი	3,15	2,1	1,4	1,05	0,467	2,8	2,1	1,4	1,05	0,467
ჯგუფში პარალელურად შეერთებულ ელემენტთა რაოდენობა	3	4	6	7	9	3	4	6	7	9
მიმდევრობით შეერთებული ჯგუფთა რაოდენობა	9	8	8	7	4	8	8	8	7	4
ელემენტთა რიცხვი სექციაში	27	32	48	49	36	24	32	48		
ელემენტთა საერთო რაოდენობა	381									


